



№13/03-26

26 მარტი 2013 წ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
შპს „საბროკერო კომპანია ქართუ ბროკერი“-ს ბენ. ღირებუტორს,
საზოგადოების კარტნიორს

ჩვენ ჩავატარეთ შპს „საბროკერო კომპანია ქართუ ბროკერი“-ს თანდართული ბუღალტრული ბალანსის აუდიტი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების აუდიტი იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით. ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია საზოგადოების ხელმძღვანელობა, ჩვენ კი გვევალება, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გავცეთ დასკვნა.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულობების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით ძირითადად სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებს იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით ქვეყანაში საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად.

შპს "ქართული აუდიტი"-ს
ღირებუტორი:

[Handwritten signature]
/მ. ქუუტაშვილი/
085485

ბ ა ლ ა ნ ს ი

სუბიექტი – შპს სკ „ქართუ ბროკერი“

საქმიანობის ტიპი – ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა

საზომი ერთეული – ლარი

	შენიშვნა	31.12.2012წ	31.12.2011წ
მიმდინარე აქტივები			
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3	18,476	89,671
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3	262,421	142,408
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		400	400
მისაღები საპროცენტო შემოსავალი		-	308
წინასწარ გადახდილი გადასახადები	4	425	417
წინასწარ გაწეული ხარჯი	4	47	35
სულ მიმდინარე აქტივები		281,769	233,239
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	4	231
გადავადებული საგადასახადო აქტივი		7,066	3,791
გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	6	2,725	2,725
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,795	6,747
სულ აქტივები		291,564	239,985
მიმდინარე ვალდებულებები			
მოწოდებიდან და მომსახურებიდან			
წარმოქმნილი ვალდებულებები		270	270
გადასახდელი ხელფასები		120	-
ვალდებულება ა/პ-ს მიმართ		36	11
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	7	136	139
სულ მიმდინარე ვალდებულებები		562	420
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		320,000	250,000
გაუნაწილებელი მოგება		(10,435)	9,308
მიმდინარე წლის გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(18,563)	(19,743)
სულ საკუთარი კაპიტალი		291,003	239,565
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		291,564	239,985

ბ.ა.

გენ. დირექტორი

/გ. ნასიბაშვილი/

მოგება-ზარალის უწყისი

სუბიექტი – შპს სკ „ქართუ ბროკერი“

საქმიანობის ტიპი – ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა

საზომი ერთეული – ლარი

	01.01.12წ- -31.12.12წ	01.01.11წ- -31.12.11წ
გაწეული საბროკერო მომსახურების ღირებულება	30	584
მთლიანი შემოსავალი	<u>30</u>	<u>584</u>
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
პერსონალის შენახვის ხარჯები	(18,000)	(19,250)
საიჯარო ქირა	(4,820)	(4,456)
ძირ. საშუალებების ცვეთა და ამორტიზაცია	(227)	(237)
ბირჟის მომსახურების ხარჯები	(1,203)	(1,209)
ცენტრ. დეპოზიტარის მომსახურების ხარჯები	(304)	(337)
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	(500)	(150)
კომუნიკაციის ხარჯი	(163)	(137)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(68)	(34)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(1)	(3)
სხვა სამეურნეო ხარჯი	(780)	(663)
არასაოპერაციო ხარჯი		
კურსთაშორის სხვაობა (-)	(4,372)	(16,371)
არასაოპერაციო შემოსავალი		
კურსთაშორის სხვაობა (+)	3,213	8,222
საპროცენტო შემოსავალი	5,358	10,814
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე	<u>(21,839)</u>	<u>(23,227)</u>
მოგების გადასახადი	(3,276)	(3,484)
საანგარიშგებო პერიოდის გაუნაწილებელი მოგება	<u><u>(18,563)</u></u>	<u><u>(19,743)</u></u>

გენ. დირექტორი

/გ. ნასიბაშვილი/

ბ.ა.

ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

(პირდაპირი მეთოდი)

სუბიექტი -- შპს სკ "ქართუ ბროკერი

საქმიანობის ტიპი -- ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა

	01.01.12წ-	01.01.11წ-
(ლარში)	-31.12.12წ	-31.12.11წ
	შენიშვნა	
1. ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	30	557
მიღებული /გაცემული ავანსები	25	5
გაცემული ხელფასები	14,280	15,400
გადახდილი გადასახადები	3,610	3,870
საოპერაციო ხარჯები	8 1,576	1,591
მომსახურებაზე გაწეული ხარჯები	9 6,278	5,411
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(25,689)	(25,710)
2. ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი	5,665	10,688
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	5,665	10,688
3. ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი +/-	(1,159)	(8,149)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	70,000	115,000
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	68,841	106,851
ფულადი სახსრების სუფთა ზრდა	48,817	91,829
ფულადი სახსრები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	232,079	140,250
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასურვისას	280,897	232,079

გენ. დირექტორი

/გ. ნასიბაშვილი/

ბ.ა.

შპს სკ "ქართუ ბროკერი"
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება
2012 წლის 31 დეკემბერი

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	ინვესტიციების გადაფასების რეზერვი	მოგება (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01/01/2011 მდგომარეობით	135,000	-	9,308	144,308
ბ რ უ ნ ვ ა 01/01/2011-დან - 31/12/2011-ის ჩათვლით	115,000	-	(19,743)	95,257
ნაშთი 31/12/2011 მდგომარეობით	250,000	-	(10,435)	239,565
ნაშთი 01/01/2012 მდგომარეობით	250,000	-	(10,435)	239,565
ბ რ უ ნ ვ ა 01/01/2012-დან - 31/12/2012-ის ჩათვლით	70,000	-	(18,563)	51,437
ნაშთი 31/12/2012 მდგომარეობით	320,000	-	(28,997)	291,003

ბ.ა.

გენ. დირექტორი

/გ. ნასიბაშვილი/

შპს სკ "ქართუ ბროკერი"-ს ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა - 1 - ზოგადი ასპექტები

შპს სკ "ქართუ ბროკერი" რეგისტრირებულია ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ 1999 წლის 24 ივნისს, მის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საბროკერო საქმიანობა ადგილობრივ და უცხოურ ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე.

შპს სკ "ქართუ ბროკერი"-ს იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ.№39ა კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 320,000 ლარს. კომპანიის 100%-იან დამფუძნებელს წარმოადგენს სს "ბანკი ქართუ". კომპანიას არ აქვს ფილიალები და წარმომადგენლობები.

საზოგადოებას ანგარიშები გახსნილი აქვს: ს/ს "ბანკი ქართუ"-ში, ს/ს "თიბისი ბანკ"-ში და ს/ს "საქართველოს ბანკ"-ში.

შენიშვნა - 2 - ფინანსური ანგარიშების შედგენისას გამოყენებული მნიშვნელოვანი პრინციპები

ფინანსური ანგარიშების მომზადების საფუძვლები

შპს სკ "ქართუ ბროკერი"-ს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე. საზოგადოება ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით.

საანგარიშო პერიოდი

საანგარიშო პერიოდი კომპანიისათვის არის კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც კომპანიის ბალანსზე აღირიცხება, წარმოდგენილია ფულადი სახსრებით და მისი ექვივალენტებით, მოთხოვნებით და ვალდებულებებით, ფინანსური ინვესტიციებით და სხვა ვალდებულებებით.

ფულადი სახსრები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, დარიცხული ამორტიზაციის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

საზოგადოების ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას.

გადასახდელი ვალდებულებები

გადასახდელი ვალდებულებები მოცემულია თვითღირებულებით, რომელიც წარმოადგენს მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელ თანხებს.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხდება მათი დარიცხვისთანავე. კომპანიის შემოსავალი მოიცავს საბროკერო მომსახურებიდან მიღებულ საკომისიოს.

დაბეგვრა

კომპანიის მიმდინარე დანახარჯები, მის საქმიანობაზე გადასახადის გადასახდელად გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხაზე, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის, ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

შენიშვნა - 3 - ფული და ფულის ექვივალენტები
 ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2012.		31.12.2011.	
	ბროკერის ანგარიშები	კლიენტების ანგარიშები	ბროკერის ანგარიშები	კლიენტების ანგარიშები
სს "თიბისი ბანკი"	2		2	
სს "ბანკი ქართუ" /დეპოზიტი/	280,621		131,758	
სს "საქართველოს ბანკი"	-	0	3	0
სს "ბანკი ქართუ"	12	262	100,048	262
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"			6	
	<u>280,635</u>	<u>262</u>	<u>231,817</u>	<u>262</u>

შენიშვნა - 4 - წინასწარ გადახდილი გადასახადები

წინასწარ გადახდილი გადასახადები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2012	31.12.2011
მოგების გადასახადი	402	402
სხვა გადასახადი	24	15
სულ წინასწარ გადახდილი გადასახადი	<u>425</u>	<u>417</u>

წინასწარ გადახდილი ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2012	31.12.2011
გადახდილი ინტერნეტის ხარჯი	47	35
სულ წინასწარ გადახდილი ხარჯი	<u>47</u>	<u>35</u>

შენიშვნა - 5 - ძირითადი საშუალებები

საოფისე
ინვენტარი

მთლიანი საბალანსო ღირებულება

ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,398
მატება	-
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,398

ცვეთა

ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,167
დარიცხული ცვეთა	227
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,394

ნარჩენი საბალანსო ღირებულება

ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	231
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4

შენიშვნა - 6 - ინვესტიციები

საწარმოს გააჩნია გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში (მ.შ. სს "საქართველოს საფონდო ბირჟა" - 2,700 ლარის და სს "კავკასიურესტრი" - 25 ლარი) თანხით - 2,725 ლარი.

შენიშვნა - 7 - მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

31.12.2012

31.12.2011

ვალდებულება ბირჟასთან	100	100
ვალდებულება დეპოზიტართან	25	25
სს "სილქნეტი"	11	14
	136	139

შენიშვნა - 8 - საოპერაციო ხარჯები

01.01.12.-31.12.12.

01.01.11.-31.12.11.

გადახდილი ბირჟისა და დეპოზიტარის მომსახურების ხარჯი	1,507	1,557
გადახდილი ბანკის მომსახურების ხარჯი	68	34
	1,576	1,591

შენიშვნა - 9 - მომსახურებაზე გაწეული ხარჯები

01.01.12.-31.12.12.

01.01.11.-31.12.11.

გადახდილი საიჯარო ქირა	4,820	4,456
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	958	805
გადახდილი აუდიტორული მომსახურების ხარჯი	500	150
	6,278	5,411

ბ.ა.

გენ. დირექტორი

/გ. ნასიბაშვილი/

**შპს სკ "ქართუ ბროკერი"-ს
ინფორმაცია კლიენტების რაოდენობაზე და
კლიენტების ტრანზაქციების ჯამურ მოცულობაზე**

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №34/01-ის თანახმად, "საბროკერო კომპანიის ლიცენზირების, კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის წესის" მუხლი 11-ის მე-4 პუნქტის "ვ" და "ზ" ქვეპუნქტების მიხედვით:

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბროკერო კომპანია მოემსახურა 8 კლიენტს.
ტრანზაქციების ჯამური მოცულობა მოცემული პერიოდისათვის შეადგენს 100195 აქციას და 5875 ლარს.

ბ.ა.

გენ. დირექტორი

/გ. ნასიბაშვილი/